



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპრეზულო



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № - 118 -

“— 17 —” მარტი — 2023 წ

## ა. თბილისი

„ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №117ქ, №117, №117ბ, №117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.06.001.036; №01.13.06.001.011; №01.13.06.001.015; №01.13.06.001.027; №01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის №23.224.245 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:


1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №117ქ, №117, №117ბ, №117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.06.001.036; №01.13.06.001.011; №01.13.06.001.015; №01.13.06.001.027; №01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [ms.gov.ge](http://ms.gov.ge) რეგისტრირებული №01223602-67 (№012303816-67; №0123048313-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 23.224.245  
22 / თებერვალი / 2023 წ.**

„ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ე, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 დეკემბერს N01223602-67 (N012303816-67; N0123048313-67) განცხადებით მიმართა ალექსანდრე კირვალიძემ (პ/ნ 01024038600) და მოთხოვა „ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ე, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117-ში, მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.044). მიწის ნაკვეთის ფართობი: 14 708.00 კვ.მ. საკვლევი არეალის განაშენიანება წარმოადგეს, მირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ საცხოვრებელ დანიმუშავების შენობებს, სტანდარტულად საშუალო ინტენსივობის განაშენიანებით, ასევე საგადასტრო ერთეულის მოსაზღვრელ ფიქსირდება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი შენობა ნაგებობა. საპროექტო ტერიტორიის მახლობლად, საკვლევ არეალში ხედება „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენი და დასასვენებელი სივრცე, ასევე ახლოს არის განლაგებული რიგორც საქალაქო მუნიციპალიტეტი „დიდუბე“, ისე მაღალი გამტარობის შიდა საქალაქო საზოგადოებრივი ცრანსპორტი, მეტროსადგირი „გოცირიძე“. აკაკი წერეთლის გამზირი, სატრანსპორტო თვალსაზრისით, კარგად განვითარებულია.

„დედაქალაქის მიწათმორებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათმორებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რევის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სს-2). ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირებით ტერიტორია ხვდება ცენტრალური ზონაში -(ცზ), შეაღედურ ზონაში (შზ), გეგმარებით კარგასში (გგ).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N156 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტები.



დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე სრულად დადგენილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსტ-2) შესაბამისი პარამეტრებით, მასში შემავალი ფუნქციური გადანაწილება კი შემდეგნაირია საცხოვრებელი- 25% საზოგადოებრივი, სასტუმრო, საოფისე - 75 %. ასევე, გაერთიანდა საკადასტრო ერთეულები (N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) და წარმოიქმნა მიწის N01.13.06.001.044. საპროექტო შენობა ნაგებებისათვის მოთხოვნილი საპარკინგე სივრცების აბსოლიტური უმრავლესობა განთავსებულია მიწისქვეშა სივრცეში.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული წინადადებით, ხდება არსებული საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსტ-2) შენარჩუნება. ასევე, კორექტირებით გათვალისწინებულია დადგენილი ფუნქციური გადანაწილების ცვლილება და განისაზღვრება შემდეგნაირად: 72%/28% საცხოვრებელი/საზოგადოებრივი. ტერიტორიაზე კვლავ იგეგმება სამი შენობა-ნაგებობის განთავსება, თუმცა კორექტირება ეხება მეორე და მესამე ბლოკების სართულიანობას, კერძოდ, მეორე ბლოკისათვის სართულიანობა იზრდება 25 სართულიდან 26 სართულამდე, ხოლო მესამე ბლოკისათვის - 19 სართულიდან 21 სართულამდე.

სართულიანობა ბლოკების მიხედვით:

პირველი ბლოკი- 25 მიწისშედა, 2 მიწისქვეშა,

მეორე ბლოკი- 26 მიწისშედა, 1 მიწისქვეშა, მიწისშედა სართულებიდან მეორე და მესამე სართული დაეთმობა პარკირებას.

მესამე ბლოკი- 21 მიწისშედა, 1 მიწისქვეშა, მიწისშედა სართულებიდან მეორე და მესამე სართული დაეთმობა პარკირებას.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონააღმდეგობრივი) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსტ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსტ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის განსაზღვრულია მაკომპენსირებელი ღონისძიებები.

მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიშის ეროვნული ბიუროს ექსპერტიშის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ-სა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით განისაზღვრება საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ნაწილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში და ნაწილის ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, რომელიც შეადგენს 1,286.2 კვ.მ-ს. აქედან, 643,1 კვ.მ განსაზღვრულია მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემად, ხოლო 643,1 კვ.მ-სთვის- შესაბამისი ფასის გადახდა.

ტერიტორიის საპროექტო ფართობი: 14,708 კვ.მ.

საპროექტო ფუნქციური ზონირება:

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსტ-2)

სამშენებლო პარამეტრები:

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსტ-2):

კ1-0,5

კ2-4,6; (67 657,0 კვ.მ)

კ3-0,3. (4412,4 კვ.მ)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილების მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური სააგნარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 21 თებერვლის N01230521263 წერილის შესაბამისად, საშახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

2023 წლის 9 თებერვლის N0123040334 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, აკავი წერეთლის გამზირის N117გ, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეყნებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01223602-67 (N012303816-67; N0123048313-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, აკავი წერეთლის გამზირის N117გ, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ დონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში და ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში გადასაცემი ღიღენობის შესაბამისი ფასის გადახდა, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის განონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (გ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1,286.2 კვ.მ-ს, აქედან 643,1 კვ.მ- მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო 643,1 კვ.მ-ის შესაბამისი ფასის გადახდა.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესზე უფლებამოსილმა ორგანომ, ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოფის მშენებლობის ხებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილმა ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს ამ განკარგულების მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

6. გადასაცემი თდენობის შესაბამისი ფასის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბორჯომ ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდეს შმენებლობის წებართვის შიღებამდე.

7. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში პრესებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის წებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ წიგვებში უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

8. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწოდებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამუშავებლად გადაეგზაგნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

9. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (გიცე-მერს) ირაკლი ხმალაძეს

10. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მსარის მექრ, შესამღებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვეის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის სახით N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გიცე კალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მარია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01230521263  
თარიღი: 21/02/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, პომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 17 თებერვლის №0123048313-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №117-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.06.001.044; არსებული ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სსზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 2 ძირი ვაზი (ს/კ: 01.13.06.001.044 - №71-72) განვალებული არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის „შესახებ“ საქართველოს განიონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგინის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარჩვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სტ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განვალებული ხილ-კენკროვანთა საქეობას და რაოდენობა არ აღემატება 15-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ. ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ. ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმად მოიჭრას განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 1 ძირი სური (ს/კ: 01.13.06.001.044 - №36) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზემედლის/მობილური/ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 9 ძირი ზემედლი/ მშენებლობი/ავარიული (ს/კ: 01.13.06.001.044 - №4, №8, №10, №12, №15, №23, №35, №37, №75) მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარჩვის საკითხთან დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 6 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარჩვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმად გადაირგვს ზემოაღნიშნული 6 ძირი (ს/კ: 01.13.06.001.044 - №1-3, №5-7) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ხორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდრილოფიური) პროექტის ფარგლებში გასამწვენებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: 14 ძირი მარადმწვანე მუხა, 3 ძირი კავკასიური ცაცხვი, 31 ძირი ჰიმალაის კედარი, 20 ძირი მჩხვლეტავი ნაძვი, 17 ძირი კავკასიური სოჭი, 28 ძირი ოდევანდრა, 36 ძირი ირმის რქა; არსებული/გადასარგავი: 6 ძირი პალმა, 6 ძირი ჰიმალიზტალური კვიპაროზი, 46 ძირი კვიდო, 1 ძირი ელდარის ფიჭვი, 2 ძირი ჰიმალაის კედარი, 9 ძირი თუთა, 2 ძირი აკაცია) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (სსზ-2 = 0.3 = 4 412.4 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლობაში შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩეა

ხელის სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი საზით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო წინადადება ითვაღისწინებს ხაზობრივი ნაგებობების გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ინფორმაციის საზით, გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე, ტერიტორიაზე გასაშენებელი მწვანე ნარგავები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ხის ნერგი გამოტრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. შარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები) სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მზრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტება უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3,5 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტება უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველამხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ეპლავ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი - ეპლავ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0123040334  
თარიღი: 09/02/2023

2023 წლის 7 თებერვლის N 012303816-67 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N117\_ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.06.001.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 1 თებერვლის N 01210323336-67 განცხადების პასუხად N 01210332928 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელშროწერა/ელექტრონული შტამპი




(բարեկարգության) բարեկարգության պահ


268

բարեկարգության բարեկարգության

ԸՆՎ



Աշխատավայրի համար՝ համարակալություն՝ 202185553 Հաստիություն՝ մակարդակը՝ Ա (առաջարկած աշխատավայրի համարակալությունը՝ 202185553)	Աշխատավայրի համար՝ համարակալություն՝ 202185553 Հաստիություն՝ մակարդակը՝ Ա (առաջարկած աշխատավայրի համարակալությունը՝ 202185553)	Աշխատավայրի համար՝ համարակալություն՝ 202185553 Հաստիություն՝ մակարդակը՝ Ա (առաջարկած աշխատավայրի համարակալությունը՝ 202185553)	Աշխատավայրի համար՝ համարակալություն՝ 202185553 Հաստիություն՝ մակարդակը՝ Ա (առաջարկած աշխատավայրի համարակալությունը՝ 202185553)
Համարակալությունը՝ համարակալությունը՝ 202185553 Համարակալությունը՝ համարակալությունը՝ 202185553 Համարակալությունը՝ համարակալությունը՝ 202185553 Համարակալությունը՝ համարակալությունը՝ 202185553			




ესაკ ნიკოლაევის ერთგული

868

C.Z.L.FZ

Seri	Nomer	Jenis	Kondisi	Informasi Diri dan Status di Pemerintahan		Lokasi Pemerintahan	Bantuan Pemerintahan	Pembentukan Organisasi
				Anggota	Ketua			
1	1	Lembaga	Anggota	25	25	KEPUSATAN	RUMAH SAKIT	POLYKlinik
2	2	Lembaga	Anggota	26	26	KEPUSATAN	RUMAH SAKIT	POLYKlinik
3	3	Lembaga	Anggota	21	21	KEPUSATAN	RUMAH SAKIT	POLYKlinik



ԱՊՐԻԼԸ ԽՈՍՔԻ ԱԾԽՈՎԵԿԵՐԸ:

ნარმოსახევითი მიჯნის საზღვრებელი  
საკრეატიული

卷之三

საკარენთი კარელა

ခေါက်မှန် ပုဂ္ဂနိုင်ရတွေ ပုဂ္ဂနိုင်ရတွေ ပုဂ္ဂနိုင်ရတွေ

THE JOURNAL OF CLIMATE

C.Z.L.FZ

(၃၅၈၃၉၆။) ၀၄၂၁၂၇၈၇

$$H = L/\gamma \quad 57.57 / 0.35 = 164.5$$

$$H = L/Y$$

$$29.5 / 0.35 = 84.28$$

$$H = L/Y$$

$$23.8 / 0.35 = 68.02$$

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

876

ԵՐԵՎԱՆԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅԹ

1:500  
1. 1970-05-01  
2. 1970-05-01  
3. 1970-05-01  
4. 1970-05-01  
5. 1970-05-01  
6. 1970-05-01  
7. 1970-05-01  
8. 1970-05-01  
9. 1970-05-01  
10. 1970-05-01  
11. 1970-05-01  
12. 1970-05-01  
13. 1970-05-01  
14. 1970-05-01  
15. 1970-05-01  
16. 1970-05-01  
17. 1970-05-01  
18. 1970-05-01  
19. 1970-05-01  
20. 1970-05-01

2. Durch die Erweiterung des Rechtsraums kann ein höherer Nutzen für alle beteiligten Parteien erzielt werden.



ၫ၇

၁၃၅

၂၀၁၈

၁၃၅

၁၃၅

၁၃၅

၁၃၅

၁၃၅

မြန်မာ  
ပြည်

၁၃၅


B 301 (B) 2017/040  
TEN. 2018.  
MAY 2018.  
2018.  
2018.

მარტინ გაერმავის დებულების რეპლიკების შეკვეთი

۸۶

G.Z.L.FZ

გეგმის განვითარები



პირველი აღნიშვნები:

610

